25/03/2025

MES 1 25 0000331327

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი, 11.03.2025
სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ
დასრულების დრო: 13:10 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ იოსელიანი
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 11 მარტს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **თამარ იოსელიანი** - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
5. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიასისტენტ-პროფესორი;
6. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;
8. **ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
9. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
11. **ნათია ზედგინიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;

12. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ქეთევან პავლიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
3. **თათია მამრიკიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი:

1. ვახტანგ ლეჟავა - რექტორი
2. მარინა ქარჩავა - პრორექტორი
3. შაკო თავაძე - სტუდენტების დეკანი
4. ელიზბარ ელიზბარაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი
5. თეო ურუშაძე - აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის დეკანი
6. ბესარიონ ლასარეიშვილი - ვეტერინარიის მედიცინის სკოლის დეკანი
7. ზაზა მეტრეველი - საინჟინრო ტექნოლოგიის სკოლის დეკანი
8. გიორგი ბედინეიშვილი - ბიზნესის სკოლის დეკანი
9. ჟუჟა ხაჭაპურიძე - სასურსათო ტექნოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი
10. რევაზ კორაშვილი - ქიმიის პროგრამის ხელმძღვანელი
11. მამუკა ბენაშვილი - მექანიკის ინჟინერიის პროგრამის ხელმძღვანელი
12. ნატო კობახიძე - ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის პროგრამის ხელმძღვანელი / სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი
13. ანა ბოკუჩავა - სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორი
14. მარიამ ყორღანაშვილი - სამეცნიერო საქმიანობის კოორდინატორი
15. სოფიკო ფიცხელაური - სამეცნიერო საქმიანობის კოორდინატორი
16. ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
17. მარიამ მოქია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
18. მარიამ ჯაფარიძე - საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერ ტები):

- დევიდ არნი (David Arney);
- გაიოზ ფარცხალაძე;
- ილია ბოცვაძე;

- ინგა ბოჭოიძე;
- ანზორ ბერიძე;
- ლევან ციცქიშვილი;
- ანა მიხელიძე.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო **12:00 საათზე**. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, **თამარ იოსელიანმა.** საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, „შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 ნოემბრის №1529102 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ. მისი თქმით, გადაწყვეტილებაში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ნაცვლად 7 200-ისა უნდა ყოფილიყო 7 400-ი. შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი უნდა გასწორდეს.
ასევე 2024 წლის 29 აგვისტოს №102829 6 ოქმის პირველ ნაწილში არ არის დაფიქსირებული ის რეკომენდაციები, რომლებიც საბჭომ განუსაზღვრა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია უნდა დაზუსტდეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. „შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 ნოემბრის №1529102 გადაწყვეტილების ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 29 აგვისტოს N1028296 ოქმის პირველ ნაწილში ინფორმაციის დაზუსტების შესახებ საკითხის განხილვა (სსიპ - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტი, ანზორ ბერიძე, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა უნივერსიტეტის შემდეგ ძლიერ მხარეებზე: კვალიფიციური კადრები, ინფრასტრუქტურა, სტუდენტთა განვითარების სერვისები, მხარდაჭერის მექანიზმები და ა.შ. შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მხოლოდ 4 კომპონენტია შეფასებული როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“ (2.2; 4.1; 6.2 და 6.3), ხოლო სხვა დანარჩენი - „სრულად შესაბამისობაში“. მეექვსე სტანდარტის ორ ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც იყო „მეტწილად შესაბამისობაში“ შეფასებული, დაწესებულებას სურდა, შეფასება „სრულად შესაბამისობით“ შეცვლილიყო, რომლის არგუმენტად მოყვანილი ჰქონდა კვლევების განხორციელების წარმატებული პრაქტიკა. მისი თქმით, წარმოდგენილი კვლევის შედეგები მისაღები და შეიძლება ითქვას საუკეთესოც არის, თუმცა მეექვსე სტანდარტში საუბარია არსებული მხარდამჭერი მექანიზმების დოკუმენტურად გაფორმებაზე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირების მიზნით. ანზორ ბერიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ყველა ინტერვიუზე დაფიქსირდა, რომ შეფასებები კეთდება და მისი აღწერა ხდება პროცედურულად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა ერთი აკადემიური პერსონალის დოკუმენტი სამეცნიერო ინსტიტუტის შეფასების სისტემის მიზნით. უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნა, რომ ეს იყო კონფიდენციალური ინფორმაცია. ექსპერტმა ინგა ბოჭოიძემ აღნიშნა, რომ ის აკადემიური და კვლევითი საქმიანობა, საგანმანათლებლო პროგრამები, ადამიანური რესურსები და მატერიალური ბაზა, რომელიც

უნივერსიტეტს გააჩნია, ნამდვილად უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდას. ეს ასევე დადასტურდა დამსაქმებელთა მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორი, ვახტანგ ლეჟავა, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ თუ უნივერსიტეტს აქვს კარგი შედეგი, ასევე სასწავლო და კვლევით კომპონენტში ჰყავს კვალიფიციური კადრები და მათი კურსდამთავრებულები მოთხოვნადები არიან ბაზარზე, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ დაწესებულება ასრულებს იმ ამოცანას, რომელიც საზოგადოების წინაშე აკისრია. წინა ავტორიზაცია აგრარულმა უნივერსიტეტმა უხარვეზოდ გაიარა, ხოლო ამჟამინდელი ავტორიზაციის დასკვნაში დაწესებულება შეფასებულია ცუდად. ექსპერტების მიერ იმ საკითხებზე არის ყურადღება გამახვილებული, რომელთა შესახებ კითხვის ნიშნები არ უნდა იყოს. საავტორიზაციო პერიოდში აკადემიურ პერსონალს ჰქონდა 900-მდე პუბლიკაცია გამოცემული, 400-ზე მეტი კონფერენცია ჩატარებული, ასვე, მოგებული 200-მდე გარე გრანტი, რომელთა ჯამური ღირებულებაც დაახლოებით 25 000 000 ლარს შეადგენს. შესაბამისად, სტანდარტთან მიმართებით ეს ნაწილი უნდა იყოს „სრულად შესაბამისობაში“ შეფასებული. მისი თქმით, მენეჯმენტის პრაქტიკები არის განსხვავებული. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი დეკლარირებული მენეჯმენტის პრაქტიკა, რაც გაცხადებულია თვითშეფასების დოკუმენტში. ინსტიტუციას შეთანხმება აქვს აკადემიურ პერსონალთან, რომ მათი შეფასებები არის კონფიდენციალური და ვერ მოხდება დოკუმენტების გაზიარება. ეს დოკუმენტი პერსონალს აფასებს განვითარების მიხედვით და ის არ არის კონკურენტული, შესაძლოა, ეს შეფასების სისტემა ექსპერტთა ჯგუფისთვის არ არის მისაღები, თუმცა ფაქტია, რომ ის ეფექტურია. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ აქვს სტრუქტურული ერთეულების მიხედვით მართვა. ეს არის დეკლარირებული და გაცხადებული სტრატეგიული მენეჯმენტისა და თვითშეფასების დოკუმენტში. ინსტიტუციას აქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც მოქმედებს და რომელიც 3 წელში ერთხელ ახლდება. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც აკმაყოფილებს სტანდარტს დაწესებულება. საერთაშორისო ექსპერტმა, დევიდ არნიმ (David Arney) აღნიშნა, რომ ის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა დაწესებულების მიმართ ორიენტირებულია უნივერსიტეტის წინსვლასა და შესაბამისობაში მოყვანაზე საერთაშორისო სტანდარტთან მიმართებით. მეოთხე სტანდარტზე დაყრდნობით განმარტა, რომ პერსონალთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში ძირითადად პროექტის შეფასება ხდება, თუმცა უმჯობესია, მათ იცოდნენ წინასწარ ამ პროექტის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში მაღალი ხარისხის პროცესები და საქმიანობები მიმდინარეობს, მაინც გამოიკვეთა ნიუანსები, რომლებიც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს, ამის აღმოფხვრის მიზნით კი გაიცა ეს რეკომენდააციები. ექსპერტმა ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების კვლევის შედეგები არის სამაგალითო და შთამბეჭდავი. ექსპერტების მიერ არსად არ წერია, რომ რაიმე საერთო სკალა უნდა გაკეთდეს შეფასების. დაწესებულებას აქვს კრიტერიუმები თუ რის მიხედვით უნდა მოხდეს სამეცნიერო პერსონალის შეფასება, რომლის არსებობაც აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუების დროს დაადასტურა. სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რა ტიპის მხარდაჭერა უნდა მიიღოს აკადემიურმა პერსონალმა დოკუმენტურად არ აქვს გაწერილი უნივერსიტეტს. ეს არის სტანდარტის მოთხოვნა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ეს არ უნდა იყოს რეკომენდაცია, რადგან უნივერსიტეტის უკან დგას შედეგი, რომელიც ყველაფერზე მეტყველებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, 6.2 რეკომენდაციის მიხედვით რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების ფორმალიზება შესაბამისი დოკუმენტის შემუშავებით. მან აღნიშნა, რომ ინსტიტუციაში არის დოკუმენტი „კვლევების საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების“ სახელწოდებით, სადაც განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის სამი მნიშვნელოვანი ფუნქცია, კერძოდ, როგორ არის განაწილებული წილობრივად სახელფასო ფონდში ფინანსები, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ფინანსების წყაროები და შესაძლებლობები. დაწესებულებას არაერთი შეფასების დოკუმენტი აქვს წარმოდგენილი. მას აინტერესებდა, რამ განაპირობა ამ რეკომენდაციის გაცემა. საერთაშორისო ექსპერტმა, დევიდ არნიმ (David Arney) აღნიშნა, რომ უფრო ზუსტად უნდა იყოს გაწერილი პერსონალისთვის განსახორციელებელი პროექტები დოკუმენტურად. ექსპერტმა ანზორ ბერიძემ განმარტა, რომ ექსპერტებმა ვერ მოიპოვეს ინფორმაცია იმის შესახებ თუ აკადემიურ პერსონალს რა ტიპის მოცულობით შეეძლო ფინანსური მხარდაჭერის მიღება და რა ტიპის გრანტებზე შეეძლო წარდგენა. შესაბამისად, ამიტომ გაიცა ეს რეკომენდაცია. ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის გარდა, სადაც ფინანსების გადანაწილების 90%-ია, წარმოდგენილია დამატებითი ცოდნის ფონდის დახმარების მექანიზმები, რომლებიც შექმნილია დაუგეგმავი ვითარებიდან გამომდინარე. ამ მექანიზმების გაწერა შეუძლებელია და არც ლიმიტი გააჩნია. შეფასებაც არის არა ზეპირი, არამედ დოკუმენტური, თუმცა ის არის კონფიდენციალური და ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას არ სურს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, მათი საჯაროდ გამოქვეყნება არ ხდება. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, 2.3 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტებს აქვთ რჩევა, რომ სასურველია, გამოყენებული იყოს მსგავსების/პლაგიატის აღმოჩენის პლატფორმა, აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოსავლენად. მას აინტერესებდა არსებობდა თუ არა მსგავსი ტიპის პლატფორმა. დაწესებულების რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ, განმარტა, რომ ეს საკითხი დაწესებულებას დეტალურად აღწერილი აქვს სტრატეგიულ დოკუმენტში. ერთ-ერთი მთავარი პრევენციის მექანიზმი არის ის, რომ წერილობითი შედეგებისა და გამოცდების 90% იწერება საგამოცდო ცენტრში იზოლირებულად. პლატფორმასთან დაკავშირებით რისკი არის ის, რომ ხდება პლაგიატის შემოწმების მექანიკურობა, რასაც აქვს 2 შედეგი: 1. შეიძლება არ იყოს მსგავსება, მითუმეტეს ხელოვნური ინტელექტის არსებობის პერიოდში გაკონტროლება მეტად რთულია; 2. ტექნოლოგიურ საგნებთან ეს მექანიზმები არის აბსოლუტურად უსარგებლო, რადგან ის, რასაც აწითლებს, უნდა ჩაითვალოს თუ არა პლაგიატად გაურკვეველია. ყველაზე დიდ გამოწვევად ხელოვნური ინტელექტი რჩება. ამ გამოწვევის დასაძლევად დაწესებულებაში აქტიურად ტარდება ექსპერიმენტები.

დაწყების დრო: 12:57
დასრულების დრო: 12:59
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის - 4000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1 პუნქტის, მე-12 მუხლის, 32 მუხლის პირველი 1 7 პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56 მუხლის მე-3 პუნქტის 2

„ა“ ქვეპუნქტის, 56 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 3 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტს (ს/კ: 211325653) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 4000-ით.

2. „შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 ნოემბრის №1529102 გადაწყვეტილების ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წ ევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა სერგო ჭელიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მომართვის საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 ნოემბრის N1529102 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში ხარვეზის გასწორებას. მან განმარტა, რომ გადაწყვეტილებაში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ არსებული რიცხვი 7 200 არ შეესაბამება ოქმში მოცემულ რიცხვს. დაწესებულებას სურს, რომ საბჭომ განიხილოს ეს საკითხი და გადაწყვეტილებაში ასახოს შესაბამისი ცვლილება.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა: „შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 ნოემბრის №1529102 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და "შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 ნოემბრის №1529102 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:"1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (ს/კ: 201951637) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 7 400-ით, მათ შორის, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 3000 სტუდენტით (2200 - ინგლისურენოვანი პროგრამისთვის, 800 ქართულენოვანი პროგრამისთვის)".

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 29 აგვისტოს N1028296 ოქმის პირველ ნაწილში ინფორმაციის დაზუსტების შესახებ საკითხის განხილვა (სსიპ - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომართვის საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომელიც ეხებოდა 2024 წლის 29 აგვისტოს N1028296 ოქმის პირველ ნაწილში ინფორმაციის დაზუსტებას. მან განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს ოქმში არ იყო დაფიქსირებული ის რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 29 აგვისტოს N1028296 ოქმის პირველ ნაწილში ინფორმაციის დაზუსტების შესახებ საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 29 აგვისტოს N1028296 ოქმის პირველ ნაწილში (სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), გადაწყვეტილების ნაწილში დაზუსტდეს შემდეგი ინფორმაცია:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
(1.2.) რეკომენდებულია ბსუ-ს დანერგოს დინამიური ციკლის სტრატეგიული დაგეგმვის პრაქტიკა საკუთარი მეთოდოლოგიის შესაბამისად, თავის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში მიუთითოს შესრულების მკაფიო ინდიკატორები თითოეული შემთხვევისთვის და სისტემატურად გააერთიანოს მათთან დაკავშირებული ამოცანები და მისწრაფებები;
(3.3) რაც შეეხება სამედიცინო პროგრამებს, რეკომენდებულია სამედიცინო პროგრამის სტუდენტების შეფასებაში რეალური ინტეგრაციის უზრუნველყოფა, ასევე ობიექტურად

სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) გაუმჯობესება საგნობრივი ნიშნულის მიხედვით (ის უნდა მოიცავდეს მინიმუმ 10 სადგურს) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდის (OSPE) დანერგვა საბაზისო სამეცნიერო მოდულებში;
(4.1.) რეკომენდებულია პერსონალის შეფასების გათანაბრება სტანდარტებთან და მისი განხორციელება ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მიერ, მკაფიო კრიტერიუმებითა და შესრულების ძირითადი ინდიკატორებით;
(6.1.) რეკომენდებულია, მომავალი რეკრუტირების გათვალისწინებით, ინგლისური ენის ადეკვატური დონე აუცილებელი გახდეს მომავალი დოქტორანტებისთვის;
(6.2.) რეკომენდებულია, რომ ბსუ ჩაერთოს უფრო მეტ საერთაშორისო კვლევით პროექტში, როგორც საუკეთესო გზა მისი საერთაშორისო კვლევითი პორტფოლიოსა და ხილვადობის გასაუმჯობესებლად;
(6.2) რეკომენდებულია, რომ ბსუ-მ თავისი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და პრაქტიკა უფრო ანალიტიკური და სტრუქტურირებული გზით (გარდა ინდივიდუალური პროექტებისა და აქტივობების დაგეგმვისა) წარმართოს;
(7.2.) რეკომენდებულია ბიბლიოთეკამ ნათლად წარმოადგინოს ტრენინგ-მოდულები ინფორმაციის მოძიების შესახებ და შესთავაზოს ეს სერვისი თავის მომხმარებლებს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე;
(7.2) რეკომენდებულია ბიბლიოთეკამ იზრუნოს თავისი წესებისა და ვებგვერდის შესახებ ინფორმაციის ინგლისურად თარგმნაზე, რათა გარანტირებული იყოს უცხოელი სტუდენტების (და სხვა დაინტერესებული მხარეების) ინფორმირებაც;
(7.3) რეკომენდებულია, რომ ბსუ-ს ვებგვერდი იყოს სრულყოფილი და ხელმისაწვდომი ინგლისურენოვანი მომხმარებლებისთვისაც.

რჩევები:
(1.1.) მიზანშეწონილია, რომ მისიის განცხადების მომავალ შესწორებულ ვერსიაში მკაფიოდ მიეთითოს ბსუ–ის საერთაშორისო ფუნქციები და მისწრაფებები, როგორც ეს ხედვასა და ღირებულებების განცხადებებშია;
(2.1.) სასურველია ადამიანური კაპიტალის, როგორც ახალი ცენტრალური ფუნქციის, განვითარება, რომელიც აერთიანებს და ემსახურება ურთიერთდაკავშირებულ მიზნებსა და ამოცანებს, როგორც მენეჯმენტსა და მხარდაჭერაში უნივერსიტეტის დონეზე, ასევე ფაკულტეტებსა და ინსტიტუტებში (ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მომავალი როლი);
(2.2) სასურველია, რომ ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება იყოს ხარისხის უზრუნველყოფის საერთო მიზანი (რაც გულისხმობს ხარისხის პასუხისმგებლობებისა და მრავალმხრივი შეფასებებს ნორმალიზებას);
(2.3.) ვინაიდან გენერაციული ხელოვნური ინტელექტი უკვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს საგანამანათლებლო სივრცეში, მიზანშეწონილია, რომ ბსუ შეიტანოს ის აკადემიური კეთილსინდისიერების მისეულ პრინციპებსა და პრაქტიკაში;
(2.3) სასურველია, ბსუ-მ გადახედოს ტექსტური მსგავსების მის პროცენტულ მაჩვენებელს პლაგიატის ტესტებში;
(2.3) გირჩევთ, რომ ნორმები და ღირებულებები ჩამოყალიბებული და აღწერილი იყოს თანმიმდევრულად და ცხადად სხვადასხვა დოკუმენტსა და პროცედურაში;
(3.1) მიზანშეწონილია, რომ ორივე სამედიცინო სასწავლო პროგრამა ინგლისურ და ქართულ ენებზე სტანდარტიზებული იქნას;
(3.2.) სასურველია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის წახალისება და მათი წვლილის უფრო ნათლად წარმოჩინება პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში;

(3.2) მიზანშეწონილია ხელოვნური ინტელექტის შესახებ კურსების შემუშავება ფაკულტეტის წევრებისთვის პროფესიული განვითარების მიზნით და ხელოვნური ინტელექტის შესახებ კურსების ინტეგრირება ყველა პროგრამაში;
(3.2) მიზანშეწონილია ენის ცოდნის დონის ამაღლება, იქნება ეს ინგლისური თუ ქართული, როგორც ამ ენებით პროგრამებში ჩარიცხვის წინაპირობა. (იხ. აგრეთვე 6.1.–თან დაკავშირებით);
(3.2.) სასურველია სამედიცინო პროგრამებში ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა და ინგლისურ პროგრამებში კლინიკური სწავლების დროის გაზრდა;
(3.2.) სასურველია უცხოელი სტუდენტებისთვის ქართული ენის ათვისების გაძლიერება;
(3.2) სასურველია ფაკულტეტის წევრებისთვის სამედიცინო განათლებაში შესაძლებლობების განვითარების პროგრამის შემუშავება;
(3.2) გირჩევთ, მოხდეს სწავლის შედეგების ინგლისურენოვანი ფორმულირების სტანდარტიზაცია ყველა პროგრამაში, კომპეტენციების მკაფიოდ დაკავშირება პროგრამის სწავლის შედეგებთან და პროგრამის სწავლის შედეგების დაკავშირება მოდულების სწავლის შედეგებთან;
(3.3.) კურსების შეფასების მომზადებისას მიზანშეწონილია გამოიყენოთ სპეციფიკაციების მოდელი ან ცხრილი, რათა უზრუნველყოთ მოსალოდნელი სწავლის შედეგების გაშუქება თითოეული კურსისთვის და დააბალანსოთ კითხვები თითოეულ შინაარსობრივ სფეროსთან დაკავშირებით;
(3.3) სასურველია დაინერგოს სტუდენტთა განმავითარებელი შეფასება როგორც სტუდენტის შეფასების ნაწილი;
(4.2.) სასურველია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა მიიღონ სამუშაო დატვირთვის აღიარება და დამატებითი ანაზღაურება მათი მუშაობის ამ ნაწილისთვის;
(5.1.) სასურველია საერთაშორისო სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღონ შესაბამის მმართველ ორგანოებში (სადაც არის ადგილები სტუდენტებისთვის);
(6.1.) მიზანშეწონილია, რომ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ერთზე მეტმა ხელმძღვანელმა განახორციელოს;
მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებამ გააძლიეროს კვლევის კომერციალიზაციის რეგიონული საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
(6.2.) მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს დოქტორანტების მხარდაჭერა არსებული ფინანსური სქემების ხელშეწყობით და წაახალისოს ისინი, რომ მიმართონ დაფინანსებისთვის;
(6.3.) სასურველია გამოიწეროთ Web of Science პლათფორმა, რათა გქონდეთ წვდომა ინსტრუმენტზე, რომელიც გამოიყენება განათლებასა და კვლევაში, ასევე მონაცემების შეფასებისთვის;
(6.3) სასურველია, რომ რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად, უნივერსიტეტმა მკვლევარების შეფასებაში ხარისხობრივი ელემენტებიც შეიტანოს. ეს უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციას ჰქონდეს სრულყოფილი სურათი არსებული პრაქტიკის შესახებ;
(7.1.) სასურველია სამედიცინო სიმულაციის ცენტრის განახლება, უფრო მოწინავე მანეკენებისა და ანატომაჟის დამატებით კლინიკური როტაციისა და ძირითადი სამეცნიერო საჭიროებების უზრუნველსაყოფად;
(7.2) მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს საავტორო უფლებების საერთაშორისო სტანდარტები ბეჭდური რესურსების გაციფრულებისას, თუნდაც საგანმანათლებლო მიზნებისთვის;
(7.3.) მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა საინფორმაციო სისტემაში დაამატოს მენეჯმენტის აღრიცხვისა და კონტროლის მოდული (MACS), რომელიც შეძლებს ავტომატურად აკონტროლოს სამიზნე ინდიკატორები და ადვილად შეაფასოს ორგანიზაციის ქმედითუნარიანობა და ეფექტიანობა;
(7.4.) სასურველია ბსუ-მა განავითაროს გამჭვირვალე და მრავალწლიანი პოლიტიკა სარეზერვო ფონდებთან და ხარჯვის გეგმებთან დაკავშირებით;

(7.4) რეკომენდებულია კომერციალიზაციისგან გაზრდილი შემოსავლის გეგმების გათვალისწინებით, ბსუ-მ შექმნას ინტეგრირებული გეგმა, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის ყველა შესაბამის ნაწილს.

სხდომა დასრულდა დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 2025 წლის 11 მარტის 13:10 საათზე.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ